სახალხო გაზეთი

№ 1188 შაბათი, 17 მაისი 1914 წ. № 1188

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე დირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუსრანის ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვეკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავეპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიხაილოვკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „ხალხური გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ეროის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლა-პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „ხასალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებითი—7 კ.

ეთვალ-ღღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამეცემა

ქვრივი ნატალია მესხისა, დები: ანნა პეტრიაშვილისა, ეფემია გეპანერისა და მარიამ გამრეკელისა, ძმები: ივანე, მიხეილ და დავით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

კოტე მესხის

გარდაცვალებას. კვირას, 18 მაისს ცხენდარს გამოასვენებენ (პრიუტის მისახვევი 6) დილის 9½ საათზე. ქვაშვეთის ეკლესიაში წირვასა და პანაშვიდს გადაუხდიან. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს ქართველ მსახიობთა ძმობის სასაფლაოზე. პანაშვიდები საღამოს 7½ საათზე. 1213

ტფილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ მსახიობის

კონსტანტინე სვიმონის ძე მესხის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, საღამოს 8 საათ. გამოსვენება კვირას, 18 მაისს, დილის 9-ნახევარ ს. ქვაშვეთის ეკლესიაში, მიცვალებულის ბინიდან (პრიუტის მისახვევი № 6). დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1213

ქართული თეატრის მსახიობნი, უზომოთ გულ დათუთქულნი ძვირფასი ამხანაგის, დამსახურებულ მსახიობის

კოტე მესხის

გარდაცვალების გამო, უმორჩილესად სთხოვენ ქართველ საზოგადოებას, დღეს, **შაბათს, პირველ საათზე,** მობძანდეს ქართულ თეატრის ფოიეში, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი, განსვენებულის სულის მოსახსენებლად. დაკრძალვა დანიშნულია კვირას 18 მაისს. 1213

ავლაბრის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობა და რეფისორი ღრმა გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას, რომ დაკრძალვა უდროოდ გარდაცვალებულის ქართული თეატრის დამსახურებულის მსახიობის

კოტე მესხისა,

დანიშნულია კვირას, 18 მაისს. გამოსვენება დილის 9½ საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან, პრიუტის მისახვევი. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 8 საათზე. 353

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 მაისს, 1914 წელს გაიმართება

ი. ევდოშვილის საღამო

შემდეგის შინაარსით:

I

ლ ე ქ ც ი ა

ერონტი ქიქოძე წაიკითხავს ლექციას **„ბელგიელი მოქანდაკე კონსტანტინ მუნიერ".** ლექციის დროს ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი ფარნით მეორეს ქანდაკებანი: 1) ქარხნის მუშა, 2) მიდიოდან ამოსვლა, 3) დაკარგული შვილი, 4) მწყურვალი მუშა, 5) მთამადნის მიდიოდების მუშა ქალი, 6) [illegible]ა, 7) [illegible]ობა, 8) ნავთსადგური, 9) მიდარო, 10) მთესველი.

II

„რას არ მერგება არ შემერგება"

1 მოქმ. ვოდევილი გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნები ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი: [illegible]ასო აბაშიძე, ა. ადამიძე, ს. ივანიძე, ს. ყივიძე.

III

საალიტერატურო განყოფილება

მონაწილეობენ: სოფრონ მგალობლიშვილი, ნ. გოცირიძე, ადამ ადამიძე, ვ. გ. მაჩაბელი.

IV

საპრანსერტო განაყოფილება

მონაწილეობენ: ვანო სარაჯიშვილი (იმღერებს რომანსებს), სადირაბელი (დაუკრავს თარზე), მიხეილ კავსაძის ქართული გუნდი (შეასრულებს ქართულ სიმღერებს). აკომპანიმენტს დაუკრავს კნ. მარგარიტა ანონიკაშვილისა.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. **ფასები ჩვეულებრივი.**

ბილეთები თეატრის კასაში უკვე იყიდება. 1198

ძ. ი. ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს სახელობის ძალ. სახალხო სახლი

[illegible] სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. ფრის მიერ **ალ. იმედაშვილის** მოგ[illegible] **შაბათს, 17 მაისს,** წარ. იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ტრ. რამიშვილისა:

1) ღ ა ბ ლ ი ს ბ ა ბ ვ ა ლ ი, დრამა 3 შოკ. **2) სიმართლე,** შარჟი 1 მ. ლიბერმანისა თარ. მ. ქორელისა.

მონაწილეობენ: ქ-ნები: ანაბიძე, ბახელი, კორინთელი, რომანიშვილისა, ოუისპირელი, ყიფიანი ციმაკურიძე. ბ-ნნი: ივანიძე, გოცირიძე, კავსაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინიძე, სალაყაია, სტურუა, ბუმბულელი, ჯაბაური.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ დასაწყისი საღამ. 8-ნახევარ საათზე.

რეჟისორი ალ. წულუკიძე, რეჟ. თანაშ. ალ. გუგუშვილი.

[illegible] წარმ. 31 ნაბეს. ქართ. სახ. წარ. მმარ. ფრის ადმინ. 1199

ელ ეძ ტ რ ო ნ ი ს, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს, ს ი ნ ა თ ლ ი ს

✦ ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ი ✦

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ფიზიკური ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 [illegible], საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორდანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

✦ ს ა ნ ა ტ ო რ ი უ მ ი ✦

„რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

გულსუსტებისა, ხასხლ-ნაკლებობა, დაქანცულობა და ფილტვების სნეულებათა ახლად დაბავდებულთათვის. საუცხოო განმარტოვებული მხიანი, უქარო ადგილი ფიქვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტა-ს დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხველოვნური პნევმოტორაკსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრული პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 120—200 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს ზ. მეზრაბიანცს,** აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1273 მეტრ.

ტფ. ბუბერ 1087

გორის პირველი კერძო

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ძირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სომხოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი ვ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბერიშაკნერი ფ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ.; საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შედავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, ყუჟის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ბაგზლის სამკურნალოები

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

კაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

საფხიდარო ექ. ძლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

ბაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914" და „606". 1023

ტ ფ ი ლ ი ს ი ს კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ქსენოფონტის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **ციძელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფეიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12. **ციკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **ფალიკიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფინარეტოვი ა. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და საშშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფინარეტი-ფინარეტოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **ფალიკიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ციძელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფეიდოროვი ბ. ხ.** ყოველ დღე 11—2. **ციკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ხველებულ სნეულებ. და ფილტ.	**ზაბახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოროვი ბ. ხ.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათანასიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ხ.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
ქალ. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 12½—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. ძმაბიანობა 10 დღე წოლით დიის 40 მ. დაწყებული „ოპერაციები, კონსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლობა, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. ნ. 1070

„ახალი კლუბი"

უამინდობის გამო გადასვლა კლუბისა საზ ფხუილ შინობაში გადაადო

კვირისთვის 18 მაის, მაშინ გაიმართება

საერთო საღილი. 1211

ا ح ا ل ا ك ل و ب

(საზაფხულო თეატრი)

ორშაბათს, 19 მაისს,

ك ن س ر ت و

სიმფონიური ორკესტრისა **ი. ბ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. მონაწილეობას მიიღებენ **ი. ბ. სარაჯიშვილი** (სიმღერა) და **ე. ნ. კოპელნიცკი** (ვიოლენჩელი). ✦ დასაწყისი სრულ საღამოს 9 საათზე.

ადგ. ფასი: 1, 2, 3 რიგი—50 კ., 4, 5, 6—40 კ., 7, 8, 9—30 კ., მეათე რიგიდან—20 კ., ბალკონი—30 კ.

ა ნ ო ნ ს ი: ოთხშაბათს, 21 მაისს, **პირველი სიმფონიური კრებული ი. ბ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით მეხუთე სიმფონია ბ. ი. ჩაიკოვსკისა. მონაწილეობას მიიღებენ ი. ბ. სარაჯიშვილი (სიმღერა) და **ი. ფიშბერგი** (სკრიპკა). კლუბში შესას. სტუმრ. იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კაპ., სტუდენტ. 25 კ. 1211

ا ح ا ل ا ك ل و ب

(საზაფხულო შენობა)

ორშაბათს, 19 მაის,

კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს არტისტი **ი. ბ. სარაჯიშვილი.** სამშაბათს 20 მაისს წარმოდგენა მოყვარულთა ჯგუფისა დრამატ. ხელოვნებისა დაარსებული ახალ კლუბთან. ოთხშაბათს, 21 მაისს, **პირველი სიმფონიური საღამო ი. ბ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. ხუთშაბათს, 22 მაისს, სინემატოგრაფი; პარასკევს 23 მაისს ლექცია **გურკოსი.** შაბათს 24 მაისს კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა. კვირას, 25 მაისს სინემატოგრაფი. 1211

ا ح ا ل ا ك ل و ب

(საზაფხულო შენობა).

პარასკევს, 23 მაისს, 1914 წ. ახალგაზდა მეცნიერი ბ-ნი

ვ. ა. გ ო ო ر ك ل

წაიკითხავს ლექციას ამ თემაზედ: **„საქართველოს კულტურა და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან"** დასაწყისი 9 საათზედ. ადგილების ფასი პარტერში 20 კ.—1 მ. 20 კ. 1211

ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლი

კვირას, 18 მაისს,

კუკიის წმ. ნინოს უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება

სალიტერატურო დილა

I

ლ ე ქ ც ი ა

ბ. გეროლტი ქიქოძისა

„პოეზია და სინამდვილე".

II

სალიტერატურო განყოფილება.

ახალგაზდა მწერლები: ქუჩიშვილი, მჭედლიშვილი, ირეთელი, ჩხიკვაძე, ერთაწმინდელი და ჯაბური წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს. სახუმარო სცენებს და კუპლეტებს წაიკითხავენ: ბ. ნ. გოცირიძე, ურუშაძე, ჯიბლაძე, და ფირუმიანი.

III

სამუსიკო განყოფილება. ქართულ საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი ბ. მიხ. კავსაძის ლოტბარობით, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი, შეასრულებს ქართულ სიმღერებს. **დასაწყ. დილ. 10 ს.**

354 გამგე **გ. სუხიშვილი.**

დ ი დ ი ც ი რ კ ი ფ. ა. ს უ პ ა ტ ო ვ ი ს ა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 17 მაისს, გაიმართება

ს ა გ ა ს ტ რ ო ლ ო გ ო შ ა გ ა თ ე ბ ი

ნუ დაიგიწყებთ ტფილისელებო, რომ ვასაც არ უნახავს ეგვიპტელი ალი, უსათუოდ უნდა მოვიდეს ცირკში და ინახულოს მისი გამოუცნობი ოინები. ალი დარჩება მხოლოდ 4 გასტროლზე. ალის გამოსვლას დაესწრნენ ისეთი გავლენიანი ექიმები, როგორიც არის გომართელი და როზენბაუმი, რომელნიც იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ალის იდუმალებით მოცული ოინები, რაიმე მოტყუება კი არა, ბუნების თამაშია. ზემოხსენებულმა ექიმებმა ალი შეამოწმეს ცირკის მანეჟში, მისი სეანსების დროს. დაეჩქარეთ ნახვას! მსოფლიო ანტრაქციონი. ახალი რამ!

ანონსი: ხვალ, 18 მაისს, 2 საღამოსასწაულო წარმოდგენა. ერთი დღისით ეგვიპტელ ალის მონაწილეობით.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი.** გამგე **ლ. ბ. ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 351

ქ. ფ. ნ.-ბ. ბამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის ხაზოგადოების გამოცემა

ი. ბ ო ლ ი შ ა ბ ვ ი ლ ი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ვინც არა ნაკლებ 5 ცალისა იყიდის ან დაიბარებს, დაეთმობა 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით:

ადრესი: **Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. гр. гр. рас.** 1072

მწუხარებით გულმოკლულნი **თავადნი რევაზ, ვასილი, სვიმონი და ალექსანდრე არჩილის ძენი ციციშვილები, იულია არჩილის ასული და ალექსანდრე ფანიაშვილები, მარიამ იოსების ასული ციციშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი მამა, მეორესი სიმამრი და მესამესი მამამთილი

თავადი არჩილ დავითის ძე

ციციშვილი.

გამოსვენება კვირას, 18 მაისს, დილის 10 საათზე, დაკრძალვა საგვარეულო აკლდამაში შუადღის 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ-დღე დილის 11 საათსა და საღამოს 7 საათზე. 61

ტფილისის ქართული დრამატიული

საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი

ყრილობა

შესდგება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, **კვირას, 25 მაისს, 1914 წ.,** დილის 12 ს. **ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:**

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმდებ კომისიაში **20 მაისამდის.** ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

დღეს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე,

დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება

ტფილისის ქართული ქალთა საზოგადოების

მეხუთე მორიგი საჯარო კრება.

ვახტანგ ღამბაშიძე წაიკითხავს მეოთხე ლექციას ბავშვთა აღზრდის შესახებ. 1214

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

საშეკურნალო

ქალ. გაძოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგები.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდებული ბოსტანი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლდას ქეჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თამთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. **უმორჩილესად ვთხოვთ** მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ხელშეკრულებისა. 1073

ექიმი **ს. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს ხანატორიუმ „რუსული დაჩოსში", აბასთუმანში,

შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწამლობს ფილტვებისა—ბრონქი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბრონქისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა და აგრედვე ლვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხვენის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—1 ს.-დე. 1516

ექიმი **ი. ი. ბეჩიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** ტ კანის ავადმყ. **გახსნრმანის** რეაქციით იკეკლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიდგება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

ექიმი **ძ. გოკრაში** (დოკტორანტი). **ვ. დ. ფინაძეგრიშვილი** ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის **შინაგან სნეულებათა** კლინიკებისა. **შინაგანი** და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **ნიხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი **შ. ა. ციციშვილი** მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის **პროსპექტი № 117.** ტელეფონი 8—16

ექიმი **კბილის ექიმი ნინო რცხილაძე.** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ნ. ნ. ჯაჯანიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვიანებს ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერკეზიშვილის ქუჩა, № 12, **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ტუსლისს, 17 მაისს

პოლონეთის საქალაქო თვითმმართველობათა ბედი.

სახელმწიფო საბჭომ პოლონეთის საქალაქო თვითმმართველობათა კანონ-პროექტის 31 მუხლი უარჰყო და ამით უარყოფილ იქმნა მთელი კანონ-პროექტიც. მოვაგონებთ მკითხველებს რანაირ მდგომარეობაში იყო ამ კანონ-პროექტის ბედი უარყოფამდე. კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით გადაეცა სახელმწიფო საბჭოს. მაგრამ კანონ-პროექტის 31 მუხლმა, რომელიც პოლონურ ენის ხმარებას შეხებოდა, სათათბიროსასა და საბჭოს შორის უთანხმობა გამოიწვია. საბჭო სათათბიროს არ დეთანხმა, თუმცა მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე გრაფი კოკოვცევი სათათბიროს რედაქციას უჭერდა მხარსა. ამ საკითხში ყველა მინისტრები რომ ერთნაირი აზრისა არ იყვნენ, იქიდან გამოჩნდა, რომ კრებას ყველა არ დაესწრო. კოკოვცევი მარტოდ-მარტო იცავდა სათათბიროს აზრს. მას შემდეგ გარემოება გამოიცვალა. კოკოვცევი გადადგა, იმისი ადგილი გორემკინმა დაიჭირა. გორემიკინის პოლიტიკური სიმპატიები არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა. ყველამ ძალიან კარგად იცოდა და იცის, რომ იგი თავისი რწმენით უკიდურესი მემარჯვენეა. ამისთანა პირობებში დაიწყო განხილვა მესამედ კანონ-პროექტისა. საბჭოსა და სათათბიროს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. მაშასადამე სახელმწიფო საბჭოს კანონ-პროექტი ან იმ სახით უნდა მიეღო, როგორც სათათბირომ შეიმუშავა, ან უნდა უარეყო. გორემკინმა ილაპარაკა საბჭოში და, წინააღმდეგ მოლოდისა, სათათბიროს დაუჭირა მხარი. ზოგიერთი ადგილები იმისი სიტყვისა იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ. „ჩემს თავს ნებას მივცემ ავუხსნა საბჭოს,—სთქვა გორემიკინმა,—რომ მთავრობა ძალიან **უხერხულ** მდგომარეობაში ჩავარდება, თუ საბჭო **გაჯიუტდა".** მთავრობამ ასწონ-დასწონა მიზეზი უთანხმოებისა და გადასწყვიტა, სათათბიროს დაუჭიროს მხარიო. სხვა რამ საბუთები გორემიკინს არ მოუყვანია. იგი მხოლოდ სთხოვდა საბჭოს, არის მოსაზრებანი, რომელნიც გვაიძულებენ გთხოვოთ რომ კანონ-პროექტი მიიღოთ იმ სახით, როგორც სათათბირომ შეიმუშავა. ამასთანავე ერთად, თითქოს საბჭოს ეშვების გასაფანტავადაო, გორემიკინმა განაცხადა, ჩემს ხანში ძალიან ძნელია რწმენის გამოცვლაო. ცხადია, რომ მმართველის პირადს რწმენას ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ცხადია, არსებობს რაღაც გარეშე მაყურებლისთვის გაუგებარი **მიზეზი,** რომელმაც კოკოვცევი კანონ-პროექტის მომხრედ გახადა. იმავ მიზეზმა სულ სხვა ჰანგებზე აალაპარაკა გორემიკინი და ისიც სათათბიროს მოსარჩლის სახით წარსდგა **გაჯიუტებულ** სახელმწიფო საბჭოს წინაშე.

მიუხედავად ყველა ამისა, საბჭომ მაინც უარჰყო კანონ-პროექტი და ამით, თუ გორემიკინს დავუჯერებთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდო არა მარტო პოლონეთი, [illegible] მთავრობაც. მოტივი ერთად ერთი იყო. დღეს პოლონელებს მივცემთ უფლებას საშობლო ენის ხმარებისას საქალაქო თვითმმართველობებში, ხვალ სხვა ერები მოითხოვენ ამავე უფლებასაო. გარდა ამისა, ეს იქნება პირველი ნაბიჯი ავტონომიისკენო. ყველა ეს მოსაზრებანი, უეჭველია, მთავრობასაც ჰქონდა გათვალისწინებული, როდესაც კანონ-პროექტს იცავდა. მაგრამ, ალბათ, შიში პოლონეთის ავტონომიის წინაშე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ის ჩვენთვის უცნობი მიზეზები, რომლებიც მთავრობას აიძულებდნენ კანონ-პროექტს გამოჰქომაგებოდა.

ასეა თუ ისე, საბჭომ კანონ-პროექტი უარჰყო. ეს გარემოება საყურადღებოა არა მხოლოდ იმით, რომ პოლონეთი დაზარალდა, საყურადღებოა იმ მხრითაც, რომ მშვენივრად ახასიათებს რუსეთის დღევანდელ შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობას.

ისეთი ქვეყნებში, სადაც წარმომადგენლობითი სისტემაა შემოღებული, ვერც ერთს მთავრობას ვერ შეუძლიან მუშაობა, თუ არ არსებობს ელემენტი, რომელიც მას მხარს უჭერს. რუსეთში კი ვერც სათათბიროში და ვერც საბჭოში ასეთი ელემენტი ვერ შეიქმნა. მთავრობის მოქმედებით ყველა უკმაყოფილოა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა თავისებურად არის უკმაყოფილო. სათათბიროს უკმაყოფილებას უცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისთვის საჭირო კრედიტს ამცირებს, საბჭო დემონსტრატიულად უარჰყოფს მთავრობის კანონ-პროექტს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭო ისეთი დაწესებულებაა, რომელიც სანახევროდ მთავრობის მიერ დახიშნულ პირებისაგან შესდგება. იქა სხვადან ყოფილი მინისტრები, დიდი მოხელენი, საზოგადოდ მთავრობასთან დაახლოებული პირნი. ასეთი საბჭოც კი თავის კაპრიზების მიხედვით იქცევა და შესაძლებლად მიაჩნია უდალატოს მთავრობას მაშინ, როდესაც იგი დახმარებასა სთხოვს. მთავრობას სათათბიროში რომ გამოუჩნდეს უკმაყოფილონი, ეს გასაკვირველი არ არის, მაგრამ, როდესაც საბჭოც მისი სურვილების წინააღმდეგ იქცევა, ცხადია, ეს მხოლოდ შინაური პოლიტიკის იმ სრული გამოურკვევლობით უნდა აიხსნას, რომელიც დღეს ემჩნევა.

ქართული პრესა

„ჩვენი ერი" შემდეგს სიტყვებს უძღვნას სომხის დეპუტატს პაპაჯანოვის მიერ წარმოთქმულ განმარტებას სათათბიროში:

„ბ. პაპაჯანოვმა, რომელიც დეპუტატმა სკობოლევმა მშვენიერის ეპიტეტით მონათლა:—„ეჩმიაძინის პოლიტიკის წარმომადგენელად" დაასახელა—ბ. პაპაჯანოვმა ისეთი სიტყვები წამოისროლა, რომელიც მარტო მარკოვისა ტ პურიშკევიჩისაგან გაგვიგონია. „სომხებიო", განაცხადა მან ძალიან შორს არიან რაიმე სეპარატისტულ ტენდენციისაგან... თავის დღეში არ გამოუჩენიათ მისწრაფება ავტონომიისადმი... ჰსურთ მხოლოდ იმად დარჩნენ, რადაც აქნამდის იყვნენ ე. ი. ერთგულ და კეთილგანწყობილ შვილად ძლევა მოსილის რუსეთის."

პაპაჯანოვმა გამოიჩინა აგრესიული ტენდენციები, რადგან გამოიწვია ერთსულოვანი პროტესტი კავკასიაში მცხოვრებ ერთა წარმომადგენლებისა: რასაკვირველია არც სკობელევი და არც ჩხენკელი აღელვებული იყვნენ აქ არა მარტო წმინდა სოციალდემოკრატიულ მოსაზრებით, ეს მათის სიტყვებიდანაცა სჩანს. თქმა არ უნდა თუ სკობელევმა მას სხარტულ სიტყვა უთხრა და „ეჩმიაძინის" პოლიტიკის ცხოვრება დააკისრა მიტომ, რომ მან მართლაც ამ პოლიტიკის მწვანე დროშა გაშალა.

ყოველიფერს, რომ დავეხსნათ მარტო იმის განცხადება რადა ღირს, რომ „ჩვენ სეპარატისტები არა ვართ, ჩვენ ავტონომიას არა ვთხოულობთ! ჩვენ რუსეთის ერთგული შვილები ვართო.." გამოდის, ვინც ავტონომიას თხოულობს, იგი სეპარატისტია და იგი ერთგული შვილი არ არის რუსეთისა, ნამდვილად კი ბ. პაპაჯანოვი და ძმანი მისნი რუსეთის ეთგულებითა და სიყვარულით კი არ არიან გამსქვალულნი როცა ავტონომიას არ თხოულობენ, იგინი აწარმოებენ „ეჩმიაძინის" იმპერიალისტურ პოლიტ-ა-ს.

„სახალხო გაზეთის" ხმალინდელ „ხურათებიან დამატებაში" მოთავსებულია ეძლევა: ი. მჭედლიშვილისა, ა. პაპამასი, ძნარისა, ბოთხრობა ზ. ედილისა; ხურათები: უძველესი ბრძნობა—მარმარილოს ძანდაძება, კოტე მესხი სხვა და სხვა როლებში, კარიკატურა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კოტე მესხის გარდაცვალების** გამო, 15 მაისისათვის დანიშნული **ი. ეგდოშვილის სალამო** გადაიდო. იგი გაიმართება მომავალ ხუთშაბათს, 22 მაისს. გაყიდული ბილეთები იმ დღისათვისაც გამოდგება.

✦ **ჩვენი ხამლვდელოების უვიცობა.** მცხეთის სვეტი ცხოვლის ტაძარში სამხრეთის სვეტზე საუცხოვო მხატვრობაა ისტორიული შინაარსისა: კათოლიკოსი აძლევს მეფეს გვირგვინს. ჰფიქრობენ რომ მეფე—ვახტანგ გორგასლანი უნდა იყვეს. ამ შესანიშნავ მხატვრობის ზევით ჩამოკიდებულია, რადაც უვარგისი მხატვრობა ტილოზე, რისთვისაც ლურსმნები დასჭირებიათ და მიქედების დროს მხატვრობა დაუზიანებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის სამღვდელოებას რამდენჯერმე შენიშნეს მათი უვიცობა, ისინი დაუდევრობას განაგრძობენ, მხატვრობა თანდათან ფუჭდება. საჭიროა ყურადღება მიექციოს ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი სამღვდელოების უვიცობისა და ვანდალობის „წყალობით" ტაძრის კედლებზე აუარებელი ცარიელი ალაგია კირით გათეთრებული და შეიძლება ეს ხატიც იქითკენ გადაიტანონ.

✦ **უხვს ქველმოქმედს ლ. კ. ზუბალაშვილს** ქალაქის საბჭოს დავალებით გუშინ ქალაქის გამგეობამ სამადლობელო დეპეშა გაუგზავნა ახალ შეწირულებისთვის. ამასთანავე აცნობა ქალაქის საბჭოს დადგენილება სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის საქალაქო მიწის დათმობის შესახებ.

✦ **ქალაქის მოურავის მოადგილე** თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დღეს ორის თვით დასასვენებლად მიემგზავრება საზღვარგარედ.

✦ **საიათ-ნავას** ძეგლის კურთხევა დიდის ამბით მოხდა ხუთშაბათს, 15 მაისს, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, მოედანზე. დილის 11 საათზე სახელოსნო გამგეობიდან ამქრები ბაირაღებით გაემართნენ სომეხ მწერალთა საზოგადოების შენობაში, აქედან კი—საიათნავას სასაფლაოზე, სადაც ძეგლი გახსნეს და აკურთხეს. გადახდილ იქმნა პანაშვიდი საიათ-ნავას სულის მოსახსენებლად. წარმოითქვა სიტყვები.

✦ მაისის 19 ტფილისის ცენტრალურ სადეპეშო კანტორაში იღებენ სტამბოლში (ოსმალეთში) გასაგზავნ დეპეშებს რუსულის სიტყვებითა და რუსულის ასოებით დაწერილს, თითო სიტყვაში ახდევინებენ 19 კაპ.

✦ **შავი ჭირი** (ეამი). ბაქოს გაზეთების სიტყვით, სოფ. თურქიანში 12 დღეა არავინ გამხდარა ავად.

✦ რედაქციამ მიიღო ახლად გამოსული პირველი წიგნი **„სიტყვანი და მოძღვრებანი"** გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა. წიგნში მოთავსებულია 37 სიტყვა და მოძღვრება ქართველ წმინდანების დღესასწაულის დღეებში ნათქვამი, ჩართული აქვს წმინდათა მეფეთა და საქართველოს უძველეველესი საეკლესიო ჩუქურთმები ტ სურათები. წიგნი სუფთად არის გამოცემული, 285 გვერდს შეიცავს და ერთ მანეთად დიროს.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **„ნაკადული"** მკირეწლოვანთათვის შემდეგი შინაარსით:—უცხო სტუმარი,—სურათი.—ნაკადულის მკითხველები: 1) ანიკო, 2) ბიძინა და 3) მიშიკო აბესაძეები—ქ. გაბუა. 4) გენო, 5) ვახტანგი, 6) ლენო ნეიმანები—თბილისი. 7) ნინო ქიქოძე—თბილისი. 8) შოთა, 9) ნუნუ, 10) ბიძინა და 11) ნათელა დედაბრიშვილები.—სასწავლებელში,—ლექსი შიო მღვიმელისა.—ორი დედოფალი,—(დასასრული) ნინო ნაკაშიძისა.—აშული,—დავ. კილოსახიძისა.—მგლის დედობა,—ლექსი გ-ქუჩიშვილისა.—გრძნეული. ზღაპარი (თარგ.) ივ. როსტომაშვილისა.—გასართობი: რებუსი და ალსნა.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** კვლავ ავად არის. ავადმყოფი ახლა ყინანდელზე ცუდად გრძნობს თავს.

✦ [illegible] ლოოდ გამოირკვა. სულ დარიგებული იყო 522 ყულაბა, რომელშიაც აღმოჩნდა 13,580 მან. 83 კაპ. შემოწირულება იყო 410 მან. 17 კ. ყვავილებისა და ბროშურების გაყიდვისაგან სხვა ქალაქებიდან შემოვიდა 733 მან. 80 კ. სულ იყო 14,724 მან. 80 კ., დაიხარჯა 1,489 მან. 21 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა 13,285 მან. 59 კ.

საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში, (მოსკოვის ქ. № 3) დანიშნულია მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება. კრებაზე დასწერება გარეშეთაც შეუძლიანთ.

✦ ქართველ ქალთა საზოგადოების საჯარო კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 7 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში. ექიმი ვახტან ღამბაშიძე წაიკითხავს მეოთხე ლექციას ბავშვთა აღზრდის შესახებ.

სოფლებთა ცხოვრება

✦ **სკოლა სიღნაღში.** ამ სკოლის შენობა დიდი ხანია დაძველდა და უვარგისი გახდა. ახალის ასაგებად 1906 წ. ყორდანოვმა 2000 მან. შეწირა სკოლას; შემდეგ ამავე საგნისთვის მისმა ქვრივმა გამოიღო 1200 მან., სიღნაღელმა ვაჭარმა ოთარიანმა 1000 მან. და ტფილისში მცხოვრებ სიღნაღელმა ვაჭრებმაც შეაგროვეს ერთმანეთ შორის 5000 მან. ამ გვარად დღეს შეგროვებულია ათი ათასი მან., რაიც სრულიად საკმარისია ახალი შენობისათვის.

✦ **კავკ. სომეხ. გამომც. საზოგადოება.** ამას წინად ტფილისში შესდგა ამ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. როგორც 1913 წ. ანგარიშიდან სჩანს, გასულს წელს საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 8712 მან. 44 კ. და გასავალი 8335 მან. 63 კაპ. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას გამოეცა 20 წიგნი, თითო წიგნი 1200—2500 ცალი. მდგომარე წლისთვის შემოსავალი ნაგარაუდევია 10,570 მან., ხოლო წიგნების დასაბეჭდად გადადებულია 7729 მან. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს წიგნების შინაარსს და როგორმე გაუმჯობესდეს წიგნის ვაჭრობა და გავრცელება პროვინციებში.

ქუთაისი

✦ **გერონტი ქიქოძე** საინტერესო ლექციას წაიკითხავს ქუთაისში, 24 მაისს. ლექციის შინაარსია: „როდინი და მენიე". ლექციის დროს ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები მენიესა და როდ ნის ქანდაკებებისა.

ჭიათურა

✦ კვირას 18 მაისს დანიშნული **ქ-ნ მარგარიტა ქილარჯიშვილის ბენეფისი.** წარმოდგენილი იქნება [illegible] ქიათურის სცენაზე, [illegible] რდიხის პიესა **„საკლავი".** დრ. [illegible] მოქმ.

სოფლად

✦ ჭყუშურში ლვდლებისათვის უთხოვნია ხალხს დრამის ფულის აკრება შიმშილობის გამო დროებით შეაჩერეო, მაგრამ მღვდლებს [illegible] უთქვამთ. ამ სოფელში სიმინდი ჯერ არ დაურიგებიათ და ხალხი [illegible] გაჭირვებაშიაო.

✦ გურიაში სოფ. ზენობანში გადაცვლილა 125 წლის ბლეხი ქიქვაძ[illegible] განსვენებულს დარჩენია 55 სულ[illegible] შვილი და შვილიშვილი.

კოტე მესხის გარდაცვალების გამო

ხუთშაბათს, 15 მაისს, უბედური დღე გაგვითენდა, რომელმაც თან წაიღო ძვირფასი სიცოცხლე საყვარელ ადამიანისა: ნაშუადღევის პირველ საათზე, ფილტვების ანთებით უდროოდ გარდაიცვალა დამსახურებული მსახიობი და **საზოგადო** მოღვაწე **კონსტანტინე** სვიმონის-ძე **მესხი.**

განსვენებული სულ 55 წლისა იყო და ჯერ კიდევ შეეძლო სახელოვნად გაეგრძელებინა საზოგადო სამსახური, მაგრამ ბრმა ბედმა ასე არ ინება.

კოტე მესხმა სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ამ 34 წლის წინად და არც ერთხელ არ უღალატნია საყვარელ საქმისთვის. იგი თაობითვე მოხვდა ქართველ მოღვაწეთა წრეს, რომელსაც ეკუთვნოდნენ: განსვენებულის ძმა სერგეი მესხი, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, დ. ერისთავი, გიორგი წერეთელი და სხვანი. ამ გარემოებამ ახალგაზრდა კოტეზე მეტად კარგი გავლენა იქონია.

კოტე მუდამ სიცოცხლით სავსე და მოძრავის ხასიათის კაცი იყო და უსაქმოდ მას ვერასოდეს ვერ ნახავდით.

განსვენებული, როგორც მსახიობი მაღალ ნიჭიერი იყო და დიდი სარგებლობაც მოუტანა ჩვენს სცენას. მას უთამაშნია სამასამდე სხვა და სხვა როლი, როგორც მოხუცისა და ყმაწვილისა, ისე დრამატიული და კომიკური. იგი განსაკუთრებით შეუდარებელი იყო კომიკურსა და დამახასიათებელ როლებში. ვის არ უნახავს პეტრუჩიო, დონ სეზარი, ფიგარო, ნაპალეონი და სხვა?

განსვენებული არ იყო, რასაკვირველია მდიდარი, მაგრამ მაინც დაძლია ნივთიერ უსაძლოებას და ორჯელ საზღვარ-გარედ იმოგზაურა და ბევრი რამეც შეიძინა განსაკუთრებით პარიზში ყოფნის დროს.

განსვენებულს დარჩა ოცზე მეტი ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესა: „რუსთაველი", „თამარ ბატონიშვილი", „ბაგრატ მეოთხე" და სხვ.

1884 წელს განსვენებულმა ქუთაისში მუდმივი დრამატიული დასი შეადგინა.

განსვენებული სცენაზე მოღვაწეობდა როგორც ანტრეპრენიორი, რეჟისორი და მსახიობი.

ერთ ხანად კოტეს ჰქონდა საკუთარი გაზეთი „პატარა გაზეთი", რომელმაც განსვენებულს ბევრი ნივთიერი და ზნეობრივი შეწეობა მიაყენა. კოტე მესხი ცნობილი იყო აგრედვე როგორც მწერალი მეტ[illegible] ლამაზ და სხარტულ ფელეტონ[illegible] ბისა.

მადლიერმა საზოგადოებამ თავ[illegible] საყვარელ მსახიობს 1910 წლის [illegible] დეკემბერს 30 წლის მოღვაწეობ[illegible] იუბილე გადაუხადა ტფილისში. [illegible] მდეგ იუბილე გადახდილ იქმნა [illegible] ქართველოს ყველა ქუთხეში.

კოტე მესხის გარდაცვალების გამ[illegible] საგანგებო კრება ჰქონდა ქართულ[illegible] დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც დაადგინა: 1) ძვირ[illegible] ფასი ცხედარი დრამატიულ საზ[illegible] გადოების ხარჯით დაკრძალოს, 2) შემკოს განსვენებულის კუბო გვ[illegible] გვინით და 3) თანაგრძნობა გამ[illegible] ცხადოს განსვენებულის ქვრივს.

...ანსვენებულის დაკრძალვა მოხ...ა კვირას, 18 მაისს, კუკიის წმ. ...ის მართლმადიდებელთა სასა...ოზე, დრამატიულ საზოგადოე...ს კუთვნილ მიწაზე. მიცვალე...ის წირვა ამ დღეს გადახდილ ...ება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლე...ში.

...შინ, ნაშუადღევის ორ ნახევარ ...ზე გადახდილ იმქმნა პირველი ...ნაშვიდი განსვენებულის კოტე ...ის სულის მოსახსენებლად. პანა...ი გადახდილ იქმნა განსვენე...ის ბინაზე (მამადავითი, პრიუ...ს ქუჩა, № 6). პანაშვიდს დაე...ნენ ქართველი მსახიობნი, ქარ...ელ ჟურნალ-გზეთების წარმომა...ენელნი, სხვა და სხვა დაწესებუ...ებისა და საზოგადოების წარმომა...ენელნი და მრავალი პატივის მცე...ელი განსვენებულის ხსოვნისა.

...დღეს, 17 მაისს, ნაშუადღევის პირ...ელ საათზე, ქართ. თეატრის ფოიე...ი ქართველ მსახიობთა თაოსნობით ...დახლილ იქმნება პანაშვიდი მა...ის ძვირფასის ამხანაგის კოტე მე...ხის სულის მოსახსენებლად.

...დღეს, 17 მაისს, საღამოს 8 სა...ზე, განსვენებულ კოტე მესხის ...ულის მოსახსენებლად გადახდილ ...ნება პანაშვიდი.

...კოტე მესხის გარდაცვალების ...ბავი ელვის სისწრაფით მოედო სა...ართველოს სხვა და სხვა კუთხეს. ...შინ დრამატიულ საზოგადოების ...ახელობაზე აუარებელი სამგლოვი...რო დეპეშა მოვიდა საქართველოს ...ხვა და სხვა დაბა-ქალაქებიდან.

ძვირფას გვამს

...კიდევ ერთი ქვა მოერღვა სამშობ...ლოს ტაძარს. კიდევ ერთი გლოვის ...ბარი ჩამოიკრა მის სამრეკლოზე. ...ველ დუღაბის საძირკველს ჩვენის ...ეატრისას ჩაჰყეფა შავმა ყორანმა ...და არა გვყავს საყვარელი კოტე!

...კოტე, რომელმაც თავისი სიყვა...ული ოცდა-ათი წლის განმავლო...ბაში გარს შემოავლო სამშობლოს ...ნორჩ წალკოტს, ქართულს თეატრს.

...კოტე, რომელიც ოცდა-ათი წლის ...განმავლობაში სწირავდა თავის გულს ...ერის სამსხვერპლოზე.

...კოტე, რომელიც ოცდა-ათი წელი ...ულუშაგვით თავს დასტრიალებდა თვის ...ატრფოს, ქართულ თეატრს.

...თეატრს, საიდანაც გაისმის ქარ...თული ენა, სადაც ვერ შესძლო მუ...ანათმა მარჯვენამ სამშობლო ენის ...ოკრა, თეატრს, სადაც მსახიობთა ...გულის კვარცხლბეკზე იმართება და ...ნშლება ერის წმინდათა წმინდა, ენა, ...ული და გული ერისა.

...დიახ, აი ამ თეატრს, ამ ძვირფას ...ტაძარს, ძვირფას სამსხვერპლოს მის...ცა კოტემ ყოველივე, რაც მას ჰქონ...და: ნიჭი, სიყვარული, ძალღონე, ...ედნიერება და მთლად სიცოცხლე. ...ის დაიწვა მისთვის, ვინც მას უყვარ...და!

...და აი, მის სამშობლოსაც მოსწყდა ...მისთვის წრფელი სიყვარულის ცრე...ლი.

...ხოლო ჩვენი კოტე კი ჩაეშვება ...ართველი ერის ლახვარ-სობილი ...მრავალ-ტანჯულ გულში, ეს იქნება ...მისი სამუდამო პანთეონი. პანთეონი, ...ერის უკვდავ შვილებისა.

...შეურიე, ძმაო კოტე, ჩემი ობო...ლი ცრემლიც ჩვენი ერის ცრემლთა ...ნაკადში.

...სამშობლო კერავ, იტირე მსხვერ...პლი,
...მაგრამ იმავ დროს იამაყე მით,
...რომ შენთვის იყო, შენთვის ცოცხლობდა,
...შენთვის დალია მან სული ტანჯვით!

ი. ევდოშვილი.

სამძიმრის დეპეშები

სამტრედია. ვგლოვობთ ქართული სცენის პატიოსან მოღვაწის კოტეს გარდაცვალებას, რომელიც იზიარებდა ამ სცენის ჭირსა და ლხინს.

ვასო ფალავანდიშვილი, ქაიხოსრო, გიორგი ყიფიანები.

მოსკოვი. გთხოვთ მსახიობ კოტე მესხის გარდაცვალების გამო საერთო გლოვას ჩვენი მწუხარებაც შეუერთოთ.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული **სათვისტომოს გამგეობა.**

ტკბილ მოგონებასთან, მწარე შეხვედრა.

...ქიათურაში ვართ. მშვენიერი საღამოა. აღმოსავლეთის მხრივ გორაზე ერთს პატარა ფიცრულ სახლში, რამდენიმე ახალგაზდას თავი მოუყრია და გაცხარებული კამათია. საღდეისო კითხვები საქირ-ბოროტოთ გამხდარა.—„წესრიგისათვის, წესრიგისათვის“—გაიძახის ერთი ამხანაგთაგანი. თავმჯდომარე მას სიტყვის თქმის ნებას აძლევს. მობაასე ათავებს, რა კრების წესრიგისათვის სიტყვას, გადადის პირველ საკითხზედ.

ოხ, ღმერთო ჩემო!.. რა სიამოვნებით ვიგონებ იმ საათს, რა მეტყველურად, როგორ მკაფიოდ და დალაგებით ეხებოდა ის არსებულ კითხვას, სხვებს აღარც დასჭირებია ამ საგანზედ ლაპარაკი.

ჩვენ ორს მოგვიწია სოფლად გასვლა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ ქიათურაში ვართ. მართალია ჩვენს ტანს და ფეხებს დაღლილობა ეტყობა, მაგრამ თვალები აღფთოვანებულად გამოიცქირებიან, სადაც წაიკითხავ—მე პირნათლად შეესრულე ყოველივე მონდობილებაო. ისევ პირის პირ შეხვდით. გამარჯობა უთხარით ერთმანეთს. მაშინ ორივე ერთგვარათ ვფიქრობდით, ერთი იდეით ვიყავით გამსჭვალული, ერთ ბანაკში ვიმყოფებოდით. ცხოვრების აუტანელმა პირობებმა და მაშინდელმა რეჟიმმა ერთმანეთს დაგვაშორა. კარგა ხანია ერთმანეთი არ გვენახა. მელაპარაკებოდენ, მან მიმართულება გამოიცვალაო, მაგრამ ამით მას ჩემს თვალში ოდნავათაც ფასი არ დაუკარგავს. თავიდანვე ეტყობოდა რომ, როგორც მგოსანს ერთ ბუდეში მოკრუნჩხვა არ შეეძლო, ვისაც უნდა ყოფილიყო ეს ბუდე.

მგოსანი ხალხის შვილია, მისი ემბლემაა, მაგრამ ის ყოველივე პარტიის მადლა სდგას. თუ რომელიმე პარტიაში გაითქვიფა მგოსანი, თავის შემოქმედებას ჰკარგავს, ფრთებ მოკვეცილი საცოდავად ჩანჩალებს და ვეღარ სცილდება იმ წრეს და წრის ნაკარნახევს.

მგოსანი, ზეგარდმო ნიჭით აღჭურვილი, ხალხს თავისკენ მიიზიდავს, ალივლივებს თავის შემოქმედების ტალღებში და ატკბობს მის წყლულს ახალ-ახალი ჰარმონიით.

გუშინ ერთმანეთს შეხვდით „შრომის“ სტამბაში, მასთან რუს-იმერელი იყო, გძელ-წვერა მცხოვანი მოხუცი, საჩხერის სამკითხველოში აკაკის სურათისათვის წარწერა უნდა დაებეჭდა, მომყავს აქ ეს ლექსიც:

„უკვდავი შენი ჩანგის ხმა,
უტკბესი ყოველ ხმაზედა,
ეით ზეციური რამ ჰანგი
გაისმის ქვეყანაზედა“.

...ლ. ...ბ...

მაშინათვე მივვარდი, ორივეს სალამი და ხელი მივეკი. ჩვენ მოკლე ბაასის შემდეგ გავშორდით ერთმანეთს.

დღეს ევდოშვილის საღამოა, გვაცნობს აფიშები და „სახალხო გაზეთი“.

მივრბივარ ქართულ თეატრისაკენ, მივრბივარ და მიმიხარიან, მეც მინდა, ჩემი მცირედი წვლილი მივიტანო.

ქართული თეატრის ეზო და შესასვლელი გაჭედილია ხალხით. ყველას სახეზე სიამოვნება იხატება. კარგი სანახავია, გაღვიძებულ მადლიან ქართველობას თავი მოუყრია და თავის უნიჭიერეს ახალგაზრდა მგოსანს, ღვაწლს და შრომას უფასებს, ღმერთს შესთხოვს მის ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ის იყო წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო, ვიდამაც თავზარდამცემი ამბავი მოიტანა. „კოტე მესხი გარდაიცვალაო“. რა საშინელებაა ამ სიტყვების გაგონება.—კოტე არა გვყავს? ქართული სცენის ლამპარი, მისი ამშენებელი და დამშვენებელი, პირველი საძირკვლის ჩამყრელი, დარიბი ქართული სცენის ბუმბერაზი, დაუღალავი მუშაკი, ქართული სცენის ღვიძლი შვილი. ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელს ტფილისს. წარმოდგენა 22 ამ თვისათვის გადაიდო.

ძველი მეგობარი.

მოხსენება

(დასასრული).

სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის გაკვეთილების ნუსხა კვირეულად.

საერთო განვითარების საგნები	კ ლ ა ს ე ბ ი I	II	III	IV	V	VI	VII	სულ გაკვეთილი
საღმთო რჯული	2	2	2	2	2	2	1	13
ქართული ენა	4	4	4	4	3	3	3	25
რუსული ენა	5	5	4	4	4	4	4	30
მათემატიკა	4	4	4	5	4	4	4	29
ფიზიკა					2	3	2	8
ბუნების მეტყველება	2	2	2	2				8
ისტორია	2	2	3	3	3	3		16
გეოგრაფია	2	2	2	3				9
ფრანგული ენა	3	4	4	4				21
ხელსაქმე	2	2	2	3				9
ხატვა	2	2	1	1				6
გალობა	1	1	1					2
ვარჯიშობა	1	1	1	1				4
სპეციალური საგნები								
ქიმია					4			4
გეოლოგია ¢ მინეროლოგია					3			3
ველის მეურნეობა					5	4		9
მეტეოროლოგია					3			3
მანქანების სწავლა						4		4
ზოოტექნიკა						4	4	8
მგბოსტნეობა						3		3
მებაღეობა							4	4
მევენახეობა							4	4
საბეითალო ნაწილი							2	2
ბუხჰალტერ. ¢ კომერც. არითმ.							1	1
ჰიგიენა							1	1
პედაგოგიკა							2	2
მეოჯახეობა							2	2
სულ	30	31	30	32	35	36	36	230

კომისიამ სასურველად სცნო, რომ სწავლის ქირა სამს მოსამზადებელ განყოფილებაში იყოს ოთხი თუმანი, პირველიდან მეოთხე კლასამდინ—ხუთი თუმანი, ხოლო მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასებში კი ექვსი თუმანი; ეს უკანასკნელი ფასი არ იქნება ძნელი გადასახადი, რადგანაც ხუთი თვის განმავლობაში, სამი უკანასკნელი კლასის ბავშვები სასწავლებლის ხარჯზე იქნებიან.

ამ ნაირად საშუალო რიცხვით, თითო ბავშვზე ხუთი თუმანი ვიანგარიშოთ და თვითეულ კლასში კი ოცდა ათი ბავშვი სულ 300 ბავშვისაგან სასწავლო ფული შემოსავლად ნავარაუდევია 15000 მანეთი. აქედან რომ ზოგიერთებს სიღარიბის გამო სწავლის ფული ეპატიოთ. მაინც შემოვა 13000 მან. მაშასადმე მთელ სასწავლებლის ყველა ხარჯების გასასტუმრებლად საჭირო იქნება წლიურად 25000 მან. დამატება.

მაგრამ ეს თანხა მაშინ არის საქირო, როდესაც მთელი სასწავლებელი გაიხსნება ყველა შვიდი კლასითურთ. ეხლა კი პირველ ხანებში ხარჯიც ბევრად შემცირებული იქნება.

მაგალითად მომავალი წლისათვის საქიროა მხოლოდ 12324 მან. შემდეგის ვარაუდით:

სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1914—15 წლისათვის.

სამი მოსამზადებელ განყოფილების და 1, 2 და 3 კლასისა.				სულ
საგნები.	**გაკვეთილი**	**ფასი**		**მან**
საღმრთო რჯული.	6	60	მ.	360
ქართული ენა	12	60	„	720
რუსული ენა	14	60	„	840
ანგარიში	13	60	„	720
ისტორია	7	70	„	490
გეოგრაფია	6	60	„	360
ბუნების მეტყველება	6	60	„	360
ფრანგული ენა	11	60	„	360
ხელსაქმე	6	60	„	360
ხატვა	5	60	„	300
გალობა	3	50	„	150
ვარჯიშობა	3	50	„	150
				თვიურად
მკურნალს		50	„	600
პედაგოგიურ საბჭოს მდივანს.		10	„	120
წიგნთ-საცავ გამგეს.		10	„	120
საქმის მწარმოებელს		10	„	120
უფროს გამგე ქალს		150	„	1800
სამ მსახურს თითოს 20 მ.		60	„	720
დედაკაცს		12	„	144
სასწავლო ნივთებისათვის			„	320
საკანცელარიო ხარჯებისათვის			„	50
სულ				9464
სამი მოსამზადებელ განყოფილების შენახვა				2860
სულ				12324

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა 1915 ¢ 16 სასწავლო წელს მიემატება მხოლოდ 32 გაკვეთილის ფასი ე. ი. 1940 მანეთი. ამნაირად მთელი ჟამი ამ წლის ხარჯთაღრიცხვისა როდესაც ოთხი კლასი უკვე გაიხსნება, იქნება 12324 მანეთი+1940 მანეთი=14264 მანეთი.

ხოლო შემდეგ წლებში კი სასწავლებლის შესანახი ხარჯი თანდათან იმატებს და მეშვიდე კლასის გახსნის დროს იგი მოითხოვს სრულს ხარჯთაღრიცხვას 36604 მანეთს. ერთდროებითი ხარჯი კი 10000 მანეთი საზაფხულო ბინის ასაგებად და სხვა. საქიროა იმ წლისათვის, როდესაც გაიხსნება მეხუთე კლასი, ესე იგი, 1917 წლის დამლევს.

ჩვეულებრივ ქალთა გიმნაზიის ხარჯთ-აღრიცხვა რომ ავიღოთ, იგი უდრის 36080 მანეთს. ამ ფულში სახლის ქირად ნაანგარიშევია 4000 მანეთი. ეს ფული რომ გამოვაკლოთ ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვის ჟამს და აგრეთვე სწავლის ფულის შემოსავალიც 13000 მან. დარჩება 19000 მანეთი. ესე იგი ჩვეულებრივ ქალთა გიმნაზიის შესანახავად საზოგადოებას ყოველ წლიურად დასჭირდებოდა 19000 მანეთი ესე იგი 4724 მანეთით ნაკლები, ვიდრე სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლეს სჭირდება. ეს 4724 მანეთი დაიფარება იმ შემოსავლით, რომელიც სამეურნეო სასწავლებელს სამი წლის არსებობის შემდეგ თავის სამეურნეო სამრეწველო სადგურის შემოსავლისაგან შემოვა.

ამ ნაირად გარდა ერთ დროებითი ხარჯისა, რომელიც საზაფხულო სადგომის აგებას უნდა მოხმარდეს, სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის შენახვა იმდენივე ჯდება სრულებით, რაც ჩვეულებრივი ქალდა გიანაზიისა. ასე რომ ერთი და იგივე ხარჯით ხერხდება ბევრად უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი საქმე და ეს გარემოებაც უთუოდ უნდა იქმნეს ნაგულისხმევი ამ საკითხის და გადაწყვეტის დროს.

კომისიას სასურველად მიჩნია, თუ ეს პროექტი მოწონებულ იქმნა საზოგადო კრების მიერ, სწავლება სასწავლებელში ქართულ ენაზედ სწარმოებდეს მომავალი წლიდანვე. ამისათვის ზოგიერთი თადარიგის გაწევაა საჭირო. რადგანაც სახელმძღვანელეები შედგენილი და დაბეჭდილი არ არის, საქიროა ამ მხრით ზოგიერთი მუშაობა, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდანვე ყოველივე მზად იყოს და სწავლას დაბრკოლება არ მიეცეს. საქიროა ცალკე კომისიის არჩევა თვითეულ საგნისათვის საქირო მასალის შესადგენად მეტადრე საქიროა ანგარიშისა და ბუნების მეტყველების სახელმძღვანელების შედგენა. ამავე ცალკე კომისიას ენდა დაეკისროს სხვა და სხვა მცოდნე პირების მოწვევა საქირო ტერმინოლოგიის გამოსარკვევად. სასურველია აგრეთვე რომ ზოგიერთი საგნის მასწავლებელი ეხლავე იქნეს არჩეული, რომ ამავე ზაფხულში მოემზადოს მომავალ სამოსწავლო წლისათვის.

კომისია სასურველად სცნობს ქალთა სასწავლებელი ენკენისთვიდგანვე გადაკეთებულ იქმნეს სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლად. გარდა სამ მოსამზადებელ განყოფილებისა, გაიხსნას პირველი, მეორე და მესამე კლასი და სწავლაც ყველა ამ კლასებში შეფარდებული იყოს ახალ გეგმასთან.

დასასრულ კომისია გამგე კომიტეტისა და საზოგადოების ყურადღებას შემდეგ საკითხს მიაქცევს:

1) აღიძოს ეხლავე მუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან, რომ მომავალ ენკენისთვიდანვე გაიხსნას სამეურნეო-სამრეწველო ქალთა სასწავლებელი;

2) ეხლავე იქმნეს არჩეული კომისია თვითეული საგნის დაწვრილებით გეგმის შესადგენად, სხვა და სხვა მცოდნე პირთა თანამშრომლობით, რომ ენკენისთვეში სამივე კლასის სასწავლო გეგმა მზად ექნესთ მასწავლებლებს სახელმძღვანელოდ:

3) ზოგიერთ საგნებისათვის, რომელთა სწავლებაც ქართულად არ ყოფილა ჯერ შემოღებული, ეხლავე იქნენ მოწვეულნი მასწავლებელნი, რომ ამ ზაფხულშივე შეეძლოსთ გულდასმით და აუჩქარებლად მომზადება მომავალ ენკენისათვის;

4) მიენდოს რამოდენიმე პირს ცალკე კომისიის მოწვევა ზოგიერთ საგნებისათვის საქირო ტერმინოლოგიის შესაძუშავებლად. რომ მათის ხელშეწყობით გაუადვილდესთ მასწავლებელთ ქართულად სწავლება მეტადრე იმ დარგებისა, რის სახელმძღვანელოებიც ჯერ-ჯერობით დაბეჭდილი არ აროს.

5) დაიბეჭდოს სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის გეგმა და აღწერილობა ხალხში გასავრცელებლად, რომ მშობლები კარგად გაეცნონ ამ სასწავლებლის გეგმას და შესძლონ ბავშვების გამოგზავნა ასეთ სიქირო და სასარგებლო სასწავლებელში.

6) მადლობა გამოეცხადოს თ. კონსტანტინე მიხეილის ძეს ამირაჯიბს თავის სამეურნეო-სამრეწველო სამუშაო სადგურის დათმობისმთვის და კ-ნა მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ—ორბელიანისას უხვი შემოწირულობისათვის.

კომისიის გარდაწყეეტილება სასწავლებლის მომავალი გეგმის შესახებ საერთო არის. ყველანი შეთანხმებით იმ დასკვნაზედ არიან, რომ მხოლოდ ეს გზა არის სასურველი და შესაძლებელი და თანაც სასარგებლო და გამოსადეგი, როგორც კერძოთ ოჯახისათვის, აგრეთვე საერთოდ საზოგადოებისათვის. ვისაც ჰსურს ჩვეულებრივი გიმნაზიის სწავლა—მისთვის მრავალი გიმნაზია არსებობს, როგორც ქალაქ თბილისში, აგრეთვე სხვა ქალაქებში და მსურველს ყოველთვის შეუძლიან ბავშვის გიმნაზიაში მიცემა; და როდესაც ერთად-ერთია ქართული ქალების სასწავლებელი და ისიც დიდის ქონებრივის მსხვერპლის შეწირვით არსებობს, საქიროა ამ სასწავლებელს ჰქონდეს განსაკუთრებული სახე და მიზანიც ჩვენი საერთო საქიროების მიხედვით ჰქონდეს დასახული. როდესაც სხვა სასწავლებელი არ უწევს ანგარიშს ჩვენი ერის განსაკუთრებულ პირობებს და მისთვის სრულებით სასურველი არ გამოდის ჩვენი ქვეყნის ელფერი და საქიროება, მაშინ ჩვენის საკუთარის ფულით შენახული სასწავლებელი მაინც უნდა გამოდიოდეს ჩვენი დამხმარე, სწორ გზაზედ დამდგარი და ჩვენივე კეთილ-დღეობის მონაწილე. ეს საქიროც არის და აუცილებელიც, და სწორედ ამ გვარი სასწავლებლის დაარსება უნდა შეადგენდეს ზნეობრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას, როგორც თავად-აზნაურობისა, აგრეთვე იმ საზოგადოებასაც, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დარიბ მოწაფეთა დახმარება.

როდესაც ყოველივე ბნელით არის მოცული იქ პატარა შუქსაც ბევრი რამ შეუძლიან და იმიტომაც ეს ერთად-ერთი ქართველ ქალთა სასწავლებელიც რომ გვექნება რიგიან გზაზედ დამდგარი, ესეც დიდად გამამხნევებელი იქნება ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნისათვის, რომელსაც სხვა უბედურებასთან ერთად სწავლის ტაძარიც კი საკუთარი არ გააჩნია.

კომისიის თავმჯდომარე
თ-დ გ. გ. მაღალაშვილი.

აშმარა კრება

ბაქოს პროფესიური საზოგადოება.

ამ საზოგადოებამ თავისი მოქმედება განაახლა 2 ივნისს 1913 წელს. მანამდის საზოგადოებაში ითვლებოდა 16 წევრი და ცარიელი კასა. 2 ივნისის საზოგადო კრებას დაესწრო 150 კაცი. ამოარჩიეს ახალი კომკომა. ამ კომკომამ კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა. 1914 წლის პირველი იანვრისთვის საზოგადოებაში ითვლებოდა უკვე 386 წევრი, აქედან 16 ქალი იყო. შემოსავალი ამ თვეს იყო 360 მანეთი. კასაშია 197 მანეთი.

საექიმო დახმარებისთვის ყოველ თვე ძიდიოდა 100 წევრი. აფიციალებს პირობით შეეკვრნენ, რომ მელავთიან ფასებში აძლიოს წევრებს წამალი. მოაწყეს იურიდიული დახმარება. ნებართვაა ნათხოვნი, რომ საზოგადოებასთან დაარსდეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ბიბლიოთეკის ფონდისთვის შეკრებილია 300 ტომამდე და 100 მანეთი ფულად. გამგეობა სცდილობდა, ლექციების მოწყობას მუშათა დაზღვევის შესახებ, მაგრამ ეს ცდაც ერ განახორციელეს ლექტორების უყოლობის გამო. გამგეობა კავშირს ძართავდა საზოგადოებასა და სახელოსნოებს შორის რწმუნებულთა დახმარებით. გამგეობა ბევრს დროს ანდომებდა მკერვალთა მომავალ კრებას.

გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებით ეკეკეოდა ამ კონფლიქტებს, რომლებიც პატრონებსა და მუშებს შორის ხდებოდა. შემოდგომისთვის გაფიცვათა ტალღა წამოვიდა და ყველა მსხვილ სახელოსნოებს მოედო. გაფიცვაში 500 კაცამდე იღებდა მონაწილეობას. გამგეობა თითონ ხელმძღვანელობდა მოძრაობას. მოძრაობის შედეგი საუკეთესო იყო: არც ერთი გაფიცვა არ წაგებულ. მოთხოვნილებათ მცირე გამოკლებით სავსებით აკმაყოფილებდნენ. მოძრაობა იმდენად ორგანიზაციული იყო და ძლიერი, რომ პატრონები ხშირად იძულებულნი იყვნენ გამგეობასთვის მიემართათ, რომ მუშებთან მოერიგებინათ.

საზღვარ-გარედ.

როგორ მიდიოდა საზღვარ-გარედ გაფიცვათა მოძრაობა.

საფრანგეთის მთავრობის შრომის დეპარტამენტის ცნობებით გაფიცულთა და ლოკაუტ გამოცხადებულთა რიცხვი 1911 წელსა და 1912 წელს ევროპისა და ამერიკის 12 სახელმწიფოებში შემდეგი იყო:

გაფიცულთა და ლოკაუტ გამოცხ. რიცხვი.

	1911 წელ	1912 წ.
გერმანია	217809	406312
ავსტრია	122001	120953
ბელგია	61040	75500
კანადა	28918	40511
დანია	29002	4082
ესპანია	22154	—
საფრანგეთი	230646	267627
ინგლისი	961980	1463281
უნგრეთი	28342	—
იტალია	385611	—
ჰოლანდია	19122	19620
შვეიცია	20576	9980

გაფიცვა გათავდა:

სრული გამარჯ.		კომპრომ.	დამარცხ.
გერმანია	19,4	46,2	34,4
ავსტრია	18,0	52,8	29,2
ბელგია	19,9	24,4	55,7
კანადა	29,0	45,5	25,5
დანია	49,0	28,5	22,5
ისპანია	32,0	25,5	42,5
საფრანგეთი	17,7	35,9	46,4
ინგლისი	6,6	84,1	9,3
უნგრეთი	47,0	—	—
იტალია	41,5	11,0	48,5
ჰოლანდია	19,7	43,9	36,4
შვეიცია	22,0	33,0	45,0

ამ გვარად ყველაზე კარგად მუშებისთვის გაფიცვას ჩაუვლია ინგლისში, დანიაში, კანადაში, ავსტრიასა და გერმანიაში, სადაც უფრო ძლიერი პროფესიური ორგანიზაციებია, უფრო გლახად ჩაუვლია გაფიცვებს ბელგიასა, იტალიასა, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში, სადაც პროფესიური კავშირები სუსტია. შვეიცია ამ ნუსხაში ყველა სახელმწიფოებზედ დაბლა სდგას, რადგანაც იქ მუშები 1909 წლის გაფიცვაში დიდად დამარცხდნენ, რომლის შემდეგაც კაპიტალისტებმა თავიანთი პოზიციები გაიმაგრეს, მუშების პოზიციები კი საკმაოდ დასუსტდნენ.

---

*) იხ. „სახალ. გზ.“ № 1187.

მოწყალილი ამბავი

ს. ბუგეული. (რაჭის მაზრა) ვინ არ იცის, რომ რაჭა-ლეჩხუმში დიდი ხანია რაც მიწის სიმშილობაა. მაგრამ მიუხედავად ამისა თ. გელოვანებმა, მაინც უცხოელზე გაჰყიდეს უკვე ცნობილი უზარმაზარი „ლაფურისმთა“. საბედნიეროდ ასე არ იქცევა რაჭის თ. დ. ა. ყიფიანი. მასაც ბევრი უცხოელი ევაჭრება მის მთაში, მაგრამ ყველას უარს ეუბნება: „თუ იყიდიან გლეხები თუ არა საგინებლად საქმეს არ გავიხდი, ჩემთვის მქონდეს“. ასეთი პასუხით ისტუმრებს ბ. დიმიტრი უცხოელ მყიდველებს. ეს მთა ძალიან მდიდარია ტყითაც და საბალახოებითაც (საჯოგე). უნდა ადვნიშნო, რომ ძლიერ შეუგნებლობას ვიჩენთ, როცა არ გვესმის ტყის მნიშვნელობა და მის ყიდვას ისეთივე ხალისით არ ვეკიდებით, როგორც სახნავი მიწავენახისას. ვერც ვენახს და ვერც ყანას უტყეოდ ვერ დავიცავთ, ახლა შეშას და საშენ მასალას არ იკითხავთ? ჩვენ ახლავე გვებევრება მათი ფასი და რამოდენიმე წლის შემდეგ ხომ ჩვენთვის თითქმის მიუწდომელი იქნება. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ხსენებული მთის პატრონი ბ. დ. ყიფიანი ჩემის აზრით, ძალიან შეღავათიან პირობებში გვაძლევს გლეხებს: ფულს ერთბაშათ არ მოითხოვს, მთელათ გასტუმრებისთვის ხუთი წლის ვადას იძლევა და ის, რომ ფასს გვინიშნავს ის ფასი ცოტათი მეტია იმის ნახევარზე, რომელსაც უცხოელები იძლევიან. კარგათ რომ ჩაუკვირდეთ, ძალიან საადვილო ხდება ჩვენთვის მისი სყიდვა. და აი როგორ: რასაც ჩვენ ორი, ხვანჭკარისას და ბუგეულის საზოგადოების მცხოვრებნი, ყოველ წლობით ტყის მასალას ვყიდულობთ და „საჯოგის“ ბაეებს ვიხდით, ეს ფული, რომ ვაძლიოთ ბ. დიმიტრის ხსენებული მთის საფასურად ხუთი წლის შემდეგ თითქმის აღარაფერი დაგვრჩება მისაცემი და ამ ნაირად დაგვრჩება სამუდამოთ საკუთრებად სამყოფი ტყეები და საბალახოები. მაგრამ სად არის ამისი შეგნება. ისე ვართ ერთმანეთის შურსა და მტრობაში გართული, რომ საერთო საქმე აღარ გვეხერხება. მეზობელი მეზობელს არ იკარებს და ერთი სოფლის მცხოვრებთ, მეორე სოფლის მცხოვრებნი გადამთიელებად მიაჩნიათ. ამისი მაგალითები ჩვენში ბევრია, მაგრამ მე მსურს აქ ერთი რამ აღვნიშნო: ბუგეულის საზოგადოების მცხოვრებნი, დიდს გაჭირვებას განვიცდით უტყეობის გამო, ამიტომ ძალიან გვსურს ხვანჭკარლებთან შეამხანაგებით შევიძინოთ ხსენებული ყიფიანის მთა. ამას ძალიან თაკილობენ ხვანჭკარლები, რამოდენიმე გლეხებს გარდა და გაიძახიან: „გაღმაურებს ჩვენკენ რა უნდათო“. რადგანაც შუაზე მდინარე რიონი ჩამოგვიდის, გამოღმაურებს გადამთიელებად გვთვლიან. ეს, რასაკვირველია, მეტის-მეტი შეუგნებლობაა მისი, რომ „ძალა ერთობაშია“, საჭიროა ორივე საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა შეაგნებინოს დანარჩენებს სარგებლიანობა ორივე საზოგადოებათა შეერთებით ხსენებული მთის ყიდვისა. გვახსოვდეს, რომ შეერთებულის ძალით ბევრი კეთილი საქმის მოწყობას შევსძლებთ და ცალ-ცალკე კი ყველაფერი გაგვიძნელდება.

ყველანი შევეცადოთ, ხსენებული მთა ხელიდან არ გამოგვეცალოს. მართალია ბ. დიმიტრი უცხოელებს უარს ეუბნება და რამოდენიმე წელია ჩაგვჩიჩინებს: „იყიდეთო“, მაგრამ შეიძლება ჩვენმა გულგრილობამ ხასიათი შეუცვალოს და ბოლოს გვიან-ღა იქნება „თითზე კბენანი“. ასეთს საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლიანთ სოფლის მამასახლისებს, მაგრამ მათ ნეტა გზებისათვის ეზრუნათ რამე, თორემ სხვას არას მოვსთხოვდით.

ალფეზა დავითულიანი.

ალბანეთის აჯანყება

(პეტ. დეპ. საგენტოსაგან).

15 მაისი.

დურაცო. საკანტროლო კომისიას მოლაპარაკება აქვს კავაიში აჯანყებულებთან. აჯანყებულები თხოულობენ მაჰმადიანი პრინცის დანიშვნას.

ავსტრიის ესკადრა ბალტიდგან 20 მაისს გზად დურაცოში შეივლის.

ქალაქს იცავს 200 იტალიელი და ავსტრიელი მეზღვაური ტყვის მფრქვეველებით. ნავთსადგურში იტალიელ და ავსტრიელი სამხედრო გემებია.

ვენა. კორესპოდენც-ბიუროს ატყობინებენ დურაცოდგან, რომ მოძრაობაში კათოლიკეთა სოფლებიც იღებენ ჭონაწილეობასაო. კავაიში 100 ალბანელი მთავრობის ერთგული წავიდა. აჯანყებულთა უმეტესი ნაწილი ყოყმობს, არ იცის ვის მიემხროს. ამ ბოლო დროს ბრძოლაში მათ ბევრი დაეკლდათ. მმართველმა მიიწვია მალისორების წინამძღოლები, მადლობა გადაუხადა ერთგულებისათვის და სთხოვა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მალისორები სკუტარში წავიდნენ.

დეპეშები

(დეპეშათა ბეტერბ. საგენტოსაგან).

14 მაისი.

უცხოეთი.

ლონდონი. ქალთა კავშირის მდივანი რო დაატუსაღეს, სუფრაჟისტების გაჩხრეკის დროს. როს ბრალსა სდებენ, კერძო სიკუთრების დანგრევის მიზნით შეთქმულების მოწყობაში. ბრალმდებელმა განაცხადა, ის საბუთის ქადალდები, რომლებიც ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს, ამტკიცებენ, რომ მზადდებოდა საგანგებო ყუმბარები და რკინის გზათა სადგურების ქარტები, რომლებიც უნდა დაენგრიათ. საქმის გარჩევის დროს ბრალდებულმა ქალებმა დიდი არეულობა მოახდინეს და პოლიციასა და ყარაულებს დაეცნენ.

ცეტინიე. დაბრუნდა რუსეთის ელჩი გირსი.

ათინა. სტრეიცმა განაცხადა პალატაში, ეგეის კუნძულების დაბომბის შესახებ მთავრობას არც კი უფიქრია.

ბუდაპესტი. რუმინიის სამეფოს დაარსების წლის თავზე ვალაშფალვში ველიკოვერდნის ახლო დემონსტრაციები მოხდა. რუმინელებს უნდოდათ ბრწყინვალედ ედღესასწაულათ ეს დღე. ჟანდარმერია სცდილობდა რუმინიის დროშა მოეგლიჯა მართლ-მადიდებელ ეკლესიიდან მაგრამ წინააღუდგნენ. დემონსტრანტები გუსარებმა გაჰფანტეს.

ბერნი. ევროპის თითქმის ყველა უნივერსიტეტების რუსეთელ სტუდენტთა ორგანიზაციების კონფერენცია მოხდა, რომ განეხილათ ის მდგომარეობა, რომელშიაც რუსეთის საზღვარ-გარედ მოსწავლე ახალგაზდობა ჩავარდა, რაც გერმანელმა და შვეიცარიელმა უნივერსიტეტებმა დაადგინეს რუსის მოსწავლეები აღარ მივიღოთო. კონფერენციაზე განიხილეს საკითხი დასავლეთს ევროპაში რუსეთის უნივერსიტეტებისა და დამხმარე კასის დაარსების შესახებ. ამ კასას უკვე ბლომად ფული შესწირეს.

სტამბოლი. ოტომანის სააგენტო იტყობინება, რომ პორტასა და ანატოლიის გენერალ ინსპექტორებს ვანგოფოსა და ვესტენკოს შორის სრული შეთანხმება მოხდა და ფელშეკრულობას დიდმა ვეზირმა ხელი მოაწერა.

პარიზი. საპარლამენტო სფერებში დანამდვილებით ამბობენ, რომ მინისტრთა კაბინეთი საზოგადო პოლიტიკის დეკლარაციისთვის ემზადება.

თეირანი. არტილერიის აფიცრები და სალდათები ხუთი თვე უჯამაგიროდ იყვნენ, რის გამოც პრემიერი ალუს-სალტანეს სახლში ბესტში ჩასხდნენ. პურუჯირში ბრძოლაა ჟანდარმებისა და ლურებს შორის. პირველ დაკლდათ 11 მოკლული და 16 დაჭრილი, მეორეს უფრო მეტი დანაკლისი აქვს.

ხიმლა. მასხუდეი ორჯელ დაეცნენ ბრიტანიის ტერიტორიას ჯანდულასა და შერანს ახლო, მაგრამ იგინი გარეკეს.

ოკლენდი (ახალი ზელანდი) მატარებელი ექსპრესი ოკლენდიდგან 40 მილის ნოშორებით საქონლის მატარებელს დაეჯახა. ორი მგზავრი მოკვდა, შვიდი დაშავდა.

15 მაისი.

ურმია. შეიხ ბარზანის წინააღმდეგ წასული ოსმალეთის რაზმები რევანდუზის რაიონიდან სამხრეთით მიდიან აღელვებული ერების წინააღმდეგ.

პარიზი. როგორც ამბობენ, ლიონში პრეზიდენტ პუანკარეს მისვლისას დაატუსაღეს ერთი მუშა, რომელსაც აღმოაჩნდა სამი ყუმბარა. იგი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა.

ზაგრები. პოლიციამ დაატუსაღა 10 კაცი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, ბანის (მმართველის) მოკვლა უნდოდათო.

ლონდონი. გარდაიცვალა ქიმიკოსი ჯოზეფ ვილსონი.

იგდიპეს. (ტეხასის შტატი). ინსურგენტებმა მექსიკაში დაიპირეს მსხვილ ქვანახშირის მადაროები, რომლებიც ამერიკელებსა და ფრანგებს ეკუთვნით, იმათ განაცხადეს, რომ კარანცის ბრძანებით ვმოქმედობთო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციამ მიიღო საზღვაო უწყების ხარჯთაღრიცხვა.

რუსეთი.

ოდესა. მეფაბრიკეთა და მეკარხნეთა საზოგადოება სამხრეთ-რუსეთის ლუდისმხდელთა კრებას მართავს, რომ გაარჩიოს ის საკითხები, რომლებიც გამოიწვია მაგარ სასმელთა გაყიდვის ახალმა კანონმა.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაადგინა უმაღლესად დამტკიცებულ შავი ჭირის მებრძოლ კომისიის განკარგულებაში მილიონნახევარი გადასცეს.

საკანონმდებლო წინადადებათა კომისიამ მოიწონა რუსეთის მცხოვრებთა მეორე საერთო აღწერის პროექტი. მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ჯამაგირი ემატებათ სამაზრო კრებების თავმჯდომარეს, საგუბერნიო გამგეობისა და სამაზრო კრებების მდივნებს.

ოდესა. ქიმიის პროფესორი კლიმენკოს სამეცნიერო და სამოსწავლო მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო საპატივცემო დღესასწაული გაუმართეს.

პერმი. 13 მაისს სასულიერო სასწავლებელში გაჩენილ ცეცხლის დროს დაშავდა 29 შეგირდი, 1 მასწავლებელი და 7 გარეშე პირი. გარდააცვალა 4 შეგირდი, მძიმედ დაშავდა 12. ღვდელი ცოცხალია, თუმცა ძალიან დაწყლულებული აქვს დამწვარი ადგილები.

პეტერბურგი. 14 მაისს სადამოთი სტუდენტების იახტ-კლუბიდან სენტორორეცკში გავიდა იახტა „სიმა“ სამი ქალითა და ოთხი ახალგაზდა კაცით. ლახტინის ზღვის კანდელთან ქარმა იახტა გადაბრუნა. ექვსი მგზავრი დაიღუპა, ერთი დილით იპოვეს მეთევზეებმა და გადაარჩინეს.

იალტა. სიხოდის ობერ-პროკურორი წავიდა.

ველეზნოვოდსკი. სეზონი გაიხსნა.

სოჩი. სეზონი გაიხსნა.

თეატრი და ხელოვნება

ქ. თელავი. 11 მაისს საკრებულო დარბაზში ბ-ნ გ. ხირსელის გამგეობით გაიმართა „თეთრი საღამო“ წარმოდგენით. ამ ბოლო დროს ისე იშვიათად იმართება წარმოდგენები, რომ ეს სასიამოვნო მოვნელად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ საცეკვაო საღამოები ხშირია, ზედ-კიდევ დაურთეს „თეთრი“ ე. ი. თეთრი ტანისამოსით დასწრება და ეს-კი სრულებით მეტი იყო. შეიძლება ამით საზოგადოების მიზიდვა უნდოდათ, ისკი არა თუ უფრო ნაკლები დასწრო. საცეკვაო საღამო რომ გაემართოთ, ეს უფრო სადა იქნებოდა და პროვინციისთვის შესაფერი.

ამ საღამოთი წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის ცნობილი „დარისპანის გასაჭირი“.

ეს პიესა დროის შესაფერია და თელავში პირველად იდგმება.

მოთამაშეებს მომზადება ეტყობოდათ, როლებიც შეესწავლათ, მაგრამ სრულ ანსაბლისათვის ეს საკმარისი არ არის.

ნ. სულ ხანიშვილმა (დარისპან ქარსივაძე) და ქართ. დრამ. დასის მსახიობმა თ. გოგოლაშვილმა (ყაროჟნა) მართლა რომ უნაკლულოდ ჩაატარეს ბოლომდე თვისი როლები და საზოგადოებასაც ძრიელ მოეწონა. დანარჩენებს როლები არ შეეფეროდათ. მარია ქვიტირიძისა ბევრი ეცადა, მაგრამ უნაკლულოდ ვერ გადმოგვცა მაჭაკლის როლი. პელაგია ხომ ძრიელ სუსტობდა და სრულებით შეუფერებლად უქცევდა იმერულ კილოს. მისი ქალი ნატალია უფრო ცოცხალი და ცქრიალა უნდა ყოფილიყო, ონისიმე მათარაძეს არა უჭირდა რა. ოსიკო ხარებაძეს ტანისამოსი და გრიმი შესაფერისი არა ჰქონდა და ამას-კი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ასეთ უსიტყვო როლში, რომლის შესრულება მხოლოდ მიმიკით გამოიხატება, რაც კარგად გადმოგვცა.

რასაკვირველია, ამ საღამოს ერთი მთლიანი პიესა რომ დაედგათ უფრო კარგი იქნება, მით უმეტეს თელავში სასცენო ძალა არის. მართალია, ჩვენი სცენის მოყვარენი დღეს გაფანტულნი არიან, მაგრამ არც ისე ძნელია მათი შეერთება, რომ შესაძლებელი გახდეს სისტემატიურად წარმოდგენების მართვა.

დავიწყებული.

რედაქტორი ნ. ᲙᲣᲠᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
გამომცემელი Ა. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან ბაქოს:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. შუადღ.; **სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ.** საღამ.; **ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ.** შუადღ.; **საფოსტო № 4, 10 ს.—20 წ.** საღ.

ბათუმისაკენ: ნარევ. № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; **სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ.** საღამ.; **სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 16 წ.** საღ.; **საფ. № 3,—9 ს. 54 წ.** დილით.

ბორჯომისაკენ: სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

მცხეთისაკენ: საბაგარაკო № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; საბაგარაკო № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. დამ. **სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ.** საღ.; **ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ.** საღ.

ბაქოდან: ნარევი № 21,—2 საათ. 17 წ. შუადღ.; **სამგზ.-საბარგ. № 9,—10 ს. 5 წ.** დილ.; **სამგზავ. № 7,— 1 ს. 42 წ.** დღით, **ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ.** საღამ.; **საფ. № 3,— 8 ს. 58 წ.** დილ.

ბორჯომიდან: სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; **სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25** დილ.

მცხეთიდან: საბაგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; **საბაგ. № 63,—8 ს. 48 წ.** საღ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. ყეფალიანი** (სდგას ვერა-ზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **ვ. ი. შავერდიანი** (ფეთხაინის ალმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. ფ. თბილისელი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **ბ. ლ. კაკაბაძე** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).

8—9 **ე. ბ. ფელიქ-შახნაზაროვი** (გურნიბის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

სასანიტარო ეაქიმები

უბნები: 1—2 **ბ. ფიმინა-ალიბეგოვა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 **და რუსის** ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთარიოვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ ტელ. 517).

5—6 **ი. ბ. ბაბალუდოვსკი** (გრიბოედოვი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. ო. ხოროშევი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ბ. მირაქმოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და ბავშვმარგებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო ბრძანებანი ეთხოვნილებათ ამოდგეს. ცუდს საბჭოს-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საბჭოს პოლიციის კანტორებში: ვერა ბოდანზე. რუსის ბაზარში, თბილისის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში ციყის კუჭაზე, ნ4, ელისაბედის ქუჩა 56 და ბალაკის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მოთგაბრა—პუშკინის ქ., **შესავალი** გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

ეუკეთისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამის ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან დარის მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

იყიდება სახლი

დაბა მიხაილოვში ორ სართულიანი, ოთხი ოთახი თავისი სამზარეულოებით. ამოყვანილია მშვენიერი ჭა და სუფთა წყალი. ეზო მშვენიერია და დიდია. ძალიან ხელმისაწვდომ ფასში იყიდება შეიძლება იჯარითაც გაცემა. მსურველმა უნდა მიმართოს ამ მისამართით: დაბა მიხაილოვში პარიკმახერი პეტრე **ქიმერიძე.** 355

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

სახლი: ორი ქვითკირის ოთახი თავისი სამზარეულოთი, 90 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე-9 საპოლიციო ნაწილში, არდონის მისახვევი (დოლუხანოვის ადგილში). ფასი ხელმისაწვდენია.

მოლაპარაკება შეიძლება: მალაკნის ქუჩა, მეპურის დუქანში, № 42, **ფილიპე მაისაშვილთან.** 352

ᲣᲤᲐᲡᲝᲓ

პრაქტიკის გულისათვის

ახლად კურს გათავებული ბუჰალტერი ადგილობრივ საბუჰალტერო უფლებიანი კურსებისა ვეძებ სამუშაოს, სხვა და სხვა დაწესებულებებში. პირადად მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში. 1212

ᲘᲐᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძველის პირდაპირ.

ბავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

ᲓᲘᲐᲜᲘ:

„606“ ᲓᲐ „914“

11—12 ს. ᲨᲔᲣᲮᲐᲕᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.

ბ. ა. ნიკიფოროვი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ვ. ბაბანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბ ბაბანოვი: 10—11 ს. საბავშვო ქალებისა და ბავშვებისა.

გ. ვ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. ვ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ჭირფრჩ.

ბ. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგან. აავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვა** 1—2 ს. ხანგრძლივი და ქალების ავადმყ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

მ. ვ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რიგი-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციებ ძვირიგადასახდ.

საქმეთა მმართველი **ბ. ბ. ნიკიფოროვი.**

1071

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲡ,

რომელიც ამ ჟამად კიევის ფრენელის უმაღლეს ინსტიტუტშია მმენელად, ჰსურს სიზაფუძულად ოჯახში გაკვეთილები აიღოს. ჰკისრულობს ბავშვების ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ აღზრას. თანახმაა ტფილისის გარეშეც წავიდეს. პირობების გაგება შეიძლება ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკში, სვ. ჯუღელთან. 1204

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ **17 მაისს,** შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის სასაკლაოს შემდეგ ნაწილთა

იჯარით გასაცემად:

1) შენობა ხორცის მავნებლობის ასაცილებელი,

2) შენობა შიგნეულობის გასასუფთავებელი,

3) უვარგის საქონლის ფეშმოებისა და ორგანოების სასაკლაო კამერში დაქცეულ სისხლის მოსაგროვებელი ქარხანა.

საჯარო ვაჭრობისათვის სათავდებოდ უნდა წარადგინონ 1500 მან. ნაღდი ფულად ან სარგებლიანი ქალალდებად. 1206

უფლებიანი

სავაჭრო სკოლა, საგუღალტერო კურსები

და სასწავლებელი გიმნაზ. და სხვ. მოსამზადებლად

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

მისაღები გამოცდა დანიშნულია 31 მაისს, მეცადინეობა 2 ივნისიდან. იყიდება სახელმძღვანელო მიწერ-მოწერა ბუჰალტერიის შესასწავლად.

მახეილის ქუჩა, № 36. 314

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲘᲜᲔᲡ. Ვ. Ნ. ᲕᲘᲜᲝᲒᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ

ტფილისის საპოლიტექნიკო კურსებთან

არსდება მოსამზადებელი კურსები საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებში და ყველა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. სპეციალურად მომზადება სამინისმზომლო და სამხედრო სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტში. კურსების კანცელარიაში ცნობების მიღება შეიძლება დღის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

1207

ᲒᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲫᲛᲔᲡ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ,

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ. 1081

ᲗᲔᲒᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ

ᲔᲛ.

ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 2.

ტელეფონი № 712.

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲬᲘᲡᲐᲜ ᲘᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ

Т-ВО БРОКАРЪ и К°

КРЕМЪ „СНѢЖИНКА“

При ежедневномъ употребленіи настоящаго крема кожа лица и рукъ становится необыкновенно нѣжной, гладкой и принимаетъ почти незамѣтную бѣлизну; при чемъ получается ощущеніе весьма пріятной свѣжести, что очень важно въ жаркое время; предупреждаетъ и быстро уничтожаетъ непріятную красноту и сухость кожи, равно какъ трещины и морщины на ней. Появляющіеся часто послѣ бритья, зудъ и жженіе въ кожѣ тотчасъ исчезаютъ при приложеніи настоящаго крема.

ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲡᲘᲧᲐᲚᲒᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲫᲣᲚᲝᲑᲐᲡ.

1201

ᲛᲔᲢᲪᲚ. 185332.

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.